კავკასიის მედიცინის და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სკოლის შესახებ

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა (CMS) 2012 წლიდან ფუნქციონირებს.

სკოლის მისიაა, საქართველოში ჯანდაცვის სისტემების მართვის თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა.

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენი სკოლის ჯანდაცვის მიმართულების ამოცანაა:

– ჯანმრთელობის მართვის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მენეჯერების და ლიდერების მომზადება
– ჯანდაცვის სისტემების მართვის ახალი ტექნოლოგიების სწავლება

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლას (CMS), ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობისთვის, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის წამყვან დაწესებულებებთან საქართველოში:

- ჯანდაცვის სამინისტრო
- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“
- სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი
- შპს „ფსიკიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი”
- შპს „კლინიკა ნეოლაბი“
- სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
- შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“
- სადაზღვევო კომპანია „უნისონი“

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს ჯანდაცვის სექტორში არსებული ინსიტიტუციების მართვასა და ლიდერობაში, ფინანსირება- ბიუჯეტირებაში, ჯანდაცვის გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკაში;
ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულს კარგად ეცოდინება ჯანდაცვის სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და ჯანდაცვის სფეროს კვლევის ძირითადი მეთოდები;
ჩვენ მიერ შემუშავებული სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს დასავლური წამყვანი უნივერსიტეტების მოთხოვნებსა და დარგის სტანდარტებს. პროგრამა ასახავს ჯანდაცვის სისტემაში თანამედროვე შრომის ბაზრის სპეციფიკურობას, ნერგავს მისი მართვის უახლეს ტექნოლოგიებსა და სწავლების თანამედროვე (გაუმჯობესებულ) მეთოდებს.

მიღების წესები

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ტესტირება
- სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები შიდა ტესტი/გასაუბრება

CU დაფინანსება

მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება სახელმწიფო გრანტთან ერთად შეგიძლიათ CU გრანტით, რომელიც გულისხმობს 50%-იან დაფინანსებას პროგრამის სრულ ღირებულებაზე.

CU გრანტის მოპოვების ორი შესაძლებლობა არსებობს

- თუ ხართ ნებისმიერი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული და გაქვთ ბაკალავრიატის ჯამურ ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) 3.5 და მეტი
- თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დააგროვებთ 90 000 საგრანტო ქულაზე მეტს

თუ ორი პირობიდან რომელიმეს აკმაყოფილებთ, შესაძლებლობა გექნებათ ჩაერთოთ საგრანტო კონკურსში და მოიპოვოთ CU გრანტი.

წლიური საფასური MBA	CU გრანტის მოპოვებისას (სახ. გრანტის გარეშე)	CU და სახელმწიფო გრანტის მოპოვებისას
4950 ლარი	2475 ლარი	1350 ლარი

რეიტინგი

კავკასიის ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის სამაგისტრო პროგრამები, ედუნივერსალის სამაგისტრო პროგრამების რეიტინგის მიხედვით, 2013-2018 წლებში, 100 საუკეთესოს შორის არის დასახელებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი მახარაშვილი
საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (490)
ელ. ფოსტა: gmakharashvili@cu.edu.ge

მის: პაატა სააკაძის ქ. 1

www.cu.edu.ge